სახელმწიფო გამარტივებული შესყიდვის შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება # 15

„—15—„ აპრილი „2015 წ.

ქ.თბილისი

ერთის მხრივ სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი,შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“,წარმოდგენილი“ მისი დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ბაბუა ალუდაურის (ს/კ16001005490) (შემდგომში“მიმწოდებელი“) სახით, შემდომში წოდებული „მიმწოდებელი“,ვმოქმედებთ,რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.გამოყენებული ტერმინების გარმატებანი

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.“ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“)– შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.“ხელშეკრულების ღირებულება“–საერთო თანხა,რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

1.3.“დღე“,“კვირა“,“თვე“– კალენდარული დღე,კვირა, თვე.

1.4.“შემსყიდველი“–ორგანიზაცია,რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“–პირი,რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია სურათები, (ადგილები რომლებიც ნახსენები აქვს ილია ჭავჭავაძეს თავის ნაწარმოებებში და რომლებიც თვითონ მოუნახულებია)

2.2. კლასიფიკატორის (*CPV*)კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 79823000

2.3. შესყიდვის საშუალება–გამარტივებული შესყიდვა.(შესყიდვის საფუძველი–საქართველოს მთავრობის 21/01/2011წ.#26 დაგენილება).

2.4. დაფინანსების წყარო–საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1545(ერთიათასხუთასორმოცდათხუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას , ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლი მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%–ის ოდენობით.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს „ ხარისხიანი საქონელი და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე,აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გასწორება:

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული საგარანტიო ვადების და პირობების დაცვა და სხვა ვალდებულებები.
დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს ყველა წუნდებული საქონელი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა)დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები,რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება .
ბ) მიმართოს წერილობით შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.
ბ)არ მიიღოს უხარისხო საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი შეცვლა/აღმოფხვრა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს,ისე მისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.
5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები,ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი,მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებუ ლება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის ღირებულება.

6. მიღება–ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით.მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით,მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა—ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა– უნაღდო,წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს,მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე,ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით,ხელშეკრულების მე–10 მუხლის შესაბამიოსად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ტექ. დოკუმენტაციით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის (სამი კალენდარული დღე მოთხოვნიდან) გადაცილების შემთხვევაში,მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,2% –ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. უხარისხო საქონლის საგარანტიო პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული საქონლის ღირებულების 0,2%–ის ოდენობით(ვადით წუნის აღმოფხვრამდე).

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში,შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%–ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი) პროცენტს,შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა,ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.დავების გადაწყვეტა

11.1.ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას,ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება,თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3.ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

14.ფორსმაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას,თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს,რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან,და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით,კარანტინით,საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ,რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება,დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე,აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს,ხოლო ერთი– შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი	ი/მ ბაბუა ალუდაური
	დუშეთის რაიონი / სტალინის ქ.#4
მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ.საგურამო ს.კ.236067224	ს/კ 16001005490
	ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE73LB0112154173459000
ტელ: 2 18-04-21	
დირექტორი ანდრო ბედუკაძე	ბაბუა ალუდაური

დანართი # 1

სურათების ჩამონათვალი:

1. ჭიალშვილების სასახლე
2. 2.გუდაური.

3.სამება

4.თრუსოს (აბანოს) ხეობა

5.სახლი,სადაც ილია ცხოვრობდა

6. „ჰოი, სახიერო,...“

7. „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა“

8.გერგეტის სამება

9.ბეთლემის მონასტერი

10.სტეფანწმინდა

11. ბეთლემის განძი

12. ბეთლემის კარები

13.ბაზალეთის ტბა

14. თრუსოს მთა

15. უანგირა მთა

16. ფშავი

17. „აღმობრწყინდა მზე...“

18. ნიში ბეთლემის გზაზე

19.სოფ.კაიშაური

20. მლეთა

21. გუდამაყრის ხეობა

22. სნოს ხეობა

23. დარიალის ხეობა

24. თამარის ციხე

25.თერგი

26. „ცისა ლაჟვარდი,ვით ნაკვერჩხალი...“

27.ანანური

28. არაგვის ხეობა

29.მთიულეთი

30.ოძისის ეკლესია.

31. გიორგი და დავით ერისთავების სახლი სოფ.ოძისში

32.რევაზ შალვას ძე ერისთავის სახლი სოფ.ოძისში

33.ხევსურეთი

34. არშის ციხე
35. სოფ.გაიბოტენი
36. ჯვრის უღელტეხილი
37. წმ.კვირიკეს ეკლესია სოფ.დიდებაანთ თავზე
38. წმ. გრიგოლის ეკლესია ქ.დუშეთში
39. წმ.ბერების კელიების ნაშთები მონასტერთან 2ც.

ანდრო ბედუკაძე

ბაბუა ალუდაური

236067224

მიღება – ჩაბარების აქტი #15

ქ.თბილისი „-1-„ ივლისი -„ 2015წ.

ჩვენ,სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე და ი/მ ბაბუა ალუდაური ხელისმოწერით ვადასტურებთ,რომ მიმდინარე წლის 1 ივლისს ხელშეკრულება #15–ის შესაბამისად ინდმეწარმე ბაბუა ალუდაურმა მუზეუმს გადასცა სურათები(40ც.) რაზეც ასახულია ყველა ის ტოპონიმი,რომლებიც მოხსენებული აქვს ილია ჭავჭავაძეს თავის ნაწარმოებებში, რაც წარმოადგენს 1545 (ერთიათასხუთასორმოცდახუთი) ლარის უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.მათ შორის დღგ და საშემოსავლო.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

ანდრო ბედუკაძე

ი/მ ბაბუა ალუდაური

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0169511614

2	22/04/2015
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	16:31:23
	დრო (საათი, წუთი)

4		
	ბაბუა ალუდაური	16001005490
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5		
	ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი	236067224
	მყიდველის (მიმღების) დასახელება.ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6		
	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	
	ტრანსპორტირების სახე

10	X
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისამძღოლი

11		
	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	
	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ილიასეული ადგილების სურათები(30X45)ყაზბეგი-დუშეთი(ჩარჩოთი)	08	ცალი	38.0000	38.5000	1463.0000
2	ილიასეული ადგილების სურათები(42X58)ყაზბეგი-დუშეთი(ჩარჩოთი)	09	ცალი	2.0000	46.0000	92.0000

13	1555 - ერთი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ნული თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
	ხელმოწერა

15	
	მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
	ხელმოწერა

16	

17	

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	22/04/2015	16:31:23
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 23/04/2015, 10:41:18